

# შპს „გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“

დამტკიცებულია რექტორის მიერ

ბრძანება № 01-01/65 10 დეკემბერი 2013 წ.

შეტანილი ცვლილება:

1. რექტორის 2016 წლის 22 ივლისის ბრძანება №01-01/64– (ცვლილება მუხლი 15)
2. რექტორის 2017 წლის 27 ნოემბრის ბრძანება №01-01/84– (უნივერსიტეტის სახელწოდების ცვლილება)

## ბაკალავრიატის დებულება

თბილისი

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს „გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“-ს (შემდგომში- შპს „გთუნი“) ბაკალავრიატის დებულება (შემდგომში - დებულება) განსაზღვრავს გთუნი-ს ბაკალავრიატის მიზნებს, ბაკალავრიატში სწავლის პირობებს, სასწავლო პროცესს, მისი სუბიექტების უფლება-მოვალეობებს და ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესს;
2. ბაკალავრიატი არის აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის;
3. საბაკალავრო პროგრამით სწავლების მანძილზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 240 კრედიტი, წელიწადში - საშუალოდ 60 კრედიტი; დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს.
4. სწავლება შეიძლება გახანგრძლივდეს, თუ:
  - სტუდენტს მოუწია კურსის/კურსების ხელახლა გავლა;
  - დადგენილ დროში ვერ მოახერხა 240 კრედიტის დაგროვება.
5. გთუნი-ში საბაკალავრო პროგრამებზე სწავლის მაქსიმალური ვადაა 6 წელი. აღნიშნულ პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.
6. ბაკალავრიატის პროგრამები იქმნება ფაკულტეტებზე, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი გათვალისწინებული სპეციალობების შესაბამისად.
7. ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს კრედიტების დადგენილი რაოდენობის ათვისების შემდეგ ენიჭება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და ეძლევა დიპლომი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. დიპლომი წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს, რომელსაც აქვს მაიდენტიფიცირებელი მაჩვენებლები, მასში ჩანაწერები სრულდება ქართულ და ინგლისურ ენებზე. დიპლომთან ერთად გაიცემა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისი ორენოვანი „დიპლომის დანართი“.
8. ბაკალავრიატის საქმიანობა წარმართება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, განათლების და მეცნიერების სამინისტროს ნორმატიული აქტებით, გთუნი-ის შინაგანაწესით, ფაკულტეტების დებულებებით, ამ დებულებითა და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა წესებით;
9. საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის რეგულირებადი, წესრიგდება შესაბამისი კანონმდებლობით.

## მუხლი 2. ბაკალავრიატის მიზნები

1. ბაკალავრიატის ძირითადი მიზნებია:
  - ა. სტუდენტის დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია;
  - ბ. სტუდენტის პიროვნული პოტენციალის რეალიზება, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება;
  - გ. თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების აღზრდა;
2. ბაკალავრიატმა უნდა უზრუნველყოს სპეციალისტის მომზადება, რომელიც:
  - ა. მზად იქნება განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობისათვის;
  - ბ. იქნება კონკურენტუნარიანი შრომის ბაზარზე;

გ. მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების საფუძველზე შეძლებს მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებას.

### **მუხლი 3. ბაკალავრიატში მიღების წესი**

1. ბაკალავრიატში სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
2. სტუდენტის სტატუსის მოპოვებისათვის პირი ვალდებულია გაიაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად და აბიტურიენტთა ქულების რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე მოიპოვოს უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლება.
3. გთუნი–ში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
4. ბაკალავრიატში მისაღები კონტიგენტის ოდენობას და ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის არჩევით საგანს/საგნებს, ადგილების კვოტას არჩევითი საგნების მიხედვით, ჩასაბარებელი გამოცდებისათვის მისანიჭებულ კოეფიციენტებს, საგანთა პრიორიტეტებს ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით, ამტკიცებს გთუნი-ს აკადემიური საბჭო.
5. ავტორიზაციის შედეგად დადგენილი სტუდენტების რაოდენობის ფარგლებში, აკადემიურმა საბჭომ ფაკულტეტის საბჭოების წარდგინების საფუძველზე შეიძლება განსაზღვროს ადგილები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის.
6. უნივერსიტეტში ჩარიცხვის მიზნით, გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, აბიტურიენტთა რეგისტრაცია მიმდინარეობს გთუნი–ში, რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში.
7. აბიტურიენტთა რეგისტრაციას ახორციელებს რექტორის ბრძანებით შექმნილი მიმღები კომისია.
8. აბიტურიენტთა რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე აბიტურიენტთა რეგისტრაციის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 10 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

### **მუხლი 4. გთუნი–ს ბაკალავრიატში ჩარიცხვის პროცედურა**

1. აბიტურიენტი, რომელმაც წარმატებით გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები, უნივერსიტეტის მიერ აბიტურიენტთა რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში წარმოადგენს შემდეგ დოკუმენტებს:
  - პირადობის მოწმობის ასლი;
  - სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი);
  - ფერადი ფოტოსურათი 2 ცალი, ზომით 3 X 4 ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია დისკზე;
  - სამხედრო-სავალდებულო აღრიცხვის მოწმობის ასლი (ვაჟებისათვის);
2. აბიტურიენტთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს უნივერსიტეტში სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ.
3. გთუნი-ს რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი უნივერსიტეტში სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ, გამოიცემა არა უგვიანეს პირველი ოქტომბრისა და იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, გამოცემიდან 15 დღის ვადაში.
4. ის პირი, რომელიც შესულია რანჟირების დოკუმენტში, მაგრამ დადგენილ ვადაში ვერ მოხვდა რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტში უნივერსიტეტისათვის

არმიმართვის გამო, უფლებამოსილია, მიმართოს გთუნი–ს ჩარიცხვის მოთხოვნით აქტის გამოცემიდან მომდევნო წლის ივნისამდე. რექტორი ვალდებულია, გამოსცეს ბრძანება ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. რექტორის აქტი იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, გამოცემიდან 15 დღის ვადაში.

#### **მუხლი 5. სტუდენტთა მობილობის წარმართვა**

1. სხვა უმაღლეს სასწავლებლებიდან სტუდენტთა გადმოსვლა ან პირიქით უნივერსიტეტიდან სხვა სასწავლებელში გადასვლა უნდა განხორციელდეს სასწავლო სემესტრის დაწყებამდე, შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. ამისათვის აუცილებელია უნივერსიტეტში არსებული ვაკანსიები დაფიქსირებულ იქნეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
2. შიდა მობილობით სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს წელიწადში 2–ჯერ, როგორც წესი სასწავლო სემესტრების დაწყებამდე; შიდა მობილობის წინა- პირობას წარმოადგენს სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის შესაბამისობის დადგენა ახალ საგანმანათლებლო პროგრამასთან.

#### **მუხლი 6. საბაკალავრო პროგრამების კოორდინაცია და ხელმძღვანელობა**

1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების საერთო კოორდინაციას და ხელმძღვანელობას ახორციელებს ფაკულტეტის დეკანი, რომელიც:
  - ა. ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს სასწავლო პროცესს;
  - ბ. უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების ორგანიზებულად განხორციელებას;
  - გ. ამზადებს წინადადებებს ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის მისაღები კონტინგენტის შესახებ და წარუდგენს მათ ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად;
  - დ. ამზადებს წინადადებებს ბაკალავრიატში სტუდენტის სტატუსის შეჩერების და აღდგენის, მობილობის წესით გადმოყვანის შესახებ;
  - ე. უზრუნველყოფს სტუდენტთა აკადემიურ რეგისტრაციას (არჩევითობის გზით სტუდენტების სასწავლო კურსების, მოდულების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ფორმირებას);
  - ვ. უზრუნველყოფს სტუდენტების შუალედური შემოწმებისა და დასკვნითი გამოცდების, საბაკალავრო ნაშრომისა და პროფესიულ პრაქტიკის ანგარიშების დაცვის პროცესის მაღალორგანიზებულად ჩატარებას;
2. აკონტროლებს სასწავლო პროცესის დოკუმენტაციისა და სტუდენტის პირადი საქმის წარმოებას.
3. სტუდენტის პირადი საქმე უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:
  - საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანება (ამონაწერი);
  - ხელშეკრულება;
  - პირადი ბარათი (CV);
  - სასწავლო ბარათი (აკადემიური ცნობა სხვა უმაღლესიდან გადმოსვლის შემთხვევაში);
  - სწავლების პერიოდში სტუდენტის შესახებ გამოცემული ბრძანებების ამონაწერი;
  - დიპლომის და დიპლომის დანართის ასლები;
  - ამონაწერი ბრძანებიდან კვალიფიკაციის მინიჭებისა და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ;
  - პირად საქმეში არსებული დოკუმენტების ჩამონათვალი; □ ნებისმიერი აქტი, რომელიც მიღებულია მის შესახებ.
4. პროგრამული მიმართულების (კათედრის) ხელმძღვანელი:
  - ა. კოორდინაციას უწევს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას;

- ბ. თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას;
  - გ. დეკანთან ერთად შეარჩევს პრაქტიკის ობიექტებს;
  - დ. ახორციელებს ფაკულტეტის დებულებებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
5. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:
- ა. აკადემიურ პერსონალთან ერთად შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროგრამას, მის სასწავლო გეგმას და წარუდგენს პროგრამულ მიმართულებას (კათედრას). პროგრამული მიმართულების (კათედრის) სხდომის გადაწყვეტილება წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად;
  - ბ. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგების (რეკომენდაციების) მიხედვით პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან, ახორციელებს პროგრამის სრულყოფას, შეცვლას, განახლებას;
  - გ. აუცილებლობის შემთხვევაში სვამს საკითხს პროგრამის სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
  - დ. ახორციელებს ფაკულტეტის დებულებებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

## მუხლი 7. სასწავლო პროცესის ორგანიზება

1. ბაკალავრიატში სწავლა მიმდინარეობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემით (ECTS) უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ავტორიზებული და აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამებით;
2. კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად, გთუნი-ში ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის დატვირთვას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება უნივერსიტეტის შინაგანაწესით და „სტუდენტის მიღწევების შეფასების წესით“ გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით;
3. სტუდენტებს, რომლებიც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვებენ შესაბამის აკადემიურ ხარისხს, უფლება აქვთ თვითდაფინანსების გზით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით დაასრულონ სასწავლო პროგრამა;
4. შეფასების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის კორექტირება შესაძლოა მოხდეს მხოლოდ სასწავლო წლის დაწყებამდე;
5. გთუნი-ში დისციპლინების კოდი განისაზღვრება მათთვის მინიჭებული ჯგუფისა და დონის შესაბამისად.
  - კურსების ჯგუფებია:
    - ა. Compulsory - სავალდებულო სასწავლო კურსების ჯგუფი;
    - ბ. Elective - არჩევითი სასწავლო კურსების ჯგუფი;
  - სასწავლო კურსების დონეებია:
    - ა. Basic – საბაზისო დონის კურსი, ითვალისწინებს სასწავლო კურსის შესწავლას ზოგად დონეზე;
    - ბ. Intermediate – საშუალო დონის კურსი (განკუთვნილია საბაზისო დონის გასაღრმავებლად);
6. სასწავლო კურსების კოდში სიმბოლოებად გამოყენებულია დისციპლინის ჯგუფისა და დონის ინგლისური დასახელების პირველი სიმბოლოები. მაგალითად, კოდი CI5 ნიშნავს სავალდებულო (Compulsory), საშუალო დონის (Intermediate) 5 კრედიტის მქონე სასწავლო კურსს.

**მუხლი 8.** საგანმანათლებლო პროგრამაში სპეციალობის და/ან სასწავლო მოდულის არჩევის გამჭვირვალობა.

1. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს, მიმართულების მოდულით გათვალისწინებული კრედიტების დაგროვების შემდეგ აირჩიოს პროგრამაში შეთავაზებული სპეციალობის მოდულებიდან ერთ-ერთი. სპეციალობის მოდულებზე გადანაწილების საფუძველია სტუდენტის პირადი სურვილი და აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი (კონკურსის შემთხვევაში). არჩეული მოდული სტუდენტს საშუალებას აძლევს მოახდინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირება სპეციალობის შესაბამისი სასწავლო კურსების კონცენტრაციით.
2. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტს საშუალება ეძლევა შეარჩიოს მისთვის სასურველი არჩევითი საგნები. გარდა ამისა, სტუდენტს საშუალება ეძლევა თავისუფალი კრედიტების კონცენტრაციის მოდულიდან აირჩიოს სასწავლო კურსები უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ორგანიზება (აკადემიური რეგისტრაცია) ხორციელდება შემდეგი პირობების დაცვით:
  - სასწავლო გეგმაში ჩამოთვლილი სასწავლო კურსებიდან არჩევის თავისუფლება;
  - სტუდენტის პირადი მონაწილეობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში;
  - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცესში ტუტორების (აკადემიური კონსულტანტების) ჩართვა.
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირებისას სტუდენტი ითვალისწინებს არჩეული სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობას. სასწავლო კურსების სპეციფიკის მიხედვით სტუდენტს შეუძლია როგორც სასწავლო კურსების, ასევე კურსების წამყვან პროფესორ-მასწავლებლების არჩევა შესაძლებლობის ფარგლებში. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში კრედიტების რაოდენობა წელიწადში შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.
5. სასწავლო გეგმის ფორმირებისათვის სტუდენტი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებამდე, დადგენილი წესით ფაკულტეტზე გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია. სტუდენტის აკადემიური რეგისტრაცია ხორციელდება შემდეგი სახით:
  - ა. სტუდენტი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ადგენს სემესტრის დაწყებამდე არა უგვიანეს 1 კვირისა;
  - ბ. სასწავლო კურსების (მოდულების) და პროფესორ/მასწავლებლის არჩევის პროცესში ფაკულტეტი განსაზღვრავს:
    - სტუდენტთა რაოდენობას, რომელთა აკადემიური რეგისტრაციის შემდეგ ხდება სასწავლო კურსის/მოდულის სწავლება;
    - სასწავლო კურსის წამყვან ერთ პროფესორ/მასწავლებელთან დასაშვებ სტუდენტთა რაოდენობას.
6. ფაკულტეტი უზრუნველყოფს საინფორმაციო დაფაზე და ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნებას სტუდენტების რეგისტრაციის შესახებ.
7. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების არჩევანის გამჭვირვალობა:
  - ა. საგანმანათლებლო პროგრამის გაცნობა შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებგვერდზე (საგანმანათლებლო პროგრამები და საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი);

- ბ. სასწავლო კურსის სილაბუსი სტუდენტისთვის ატვირთული იქნება ელექტრონულ ჟურნალში, ასევე, სურვილის შემთხვევაში მიეწოდება ნაბეჭდი სახით;
- გ. სტუდენტს შეუძლია სემესტრის დაწყებამდე, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობიდან გამომდინარე, არჩევითი საგნების შეთავაზებული მოდულიდან აირჩიოს მისთვის სასურველი კურსი/კურსები;
- დ. სტუდენტის მიერ გაკეთებული არჩევანის დარეგისტრირების ფორმებია ვებგვერდი ან სპეციალური რეგისტრაციის ფორმა .

**მუხლი 9.** საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, შეჩერების ან გაუქმების შემთხვევაში შემდგომი სწავლის შესაძლებლობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე უნივერსიტეტმა შეიძლება მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, შეჩერების ან გაუქმების გადაწყვეტილება.
2. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებს შემდგომი განათლებით.
3. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია, სწავლა გააგრძელოს შეცვლილ საგანმანათლებლო პროგრამაზე. უნივერსიტეტი თითოეული სტუდენტისათვის განსაზღვრავს შესაბამისობებს არსებულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესწავლილ და ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს შორის და საჭიროების შემთხვევაში, მისცემს სტუდენტს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის შესაძლებლობას.
4. თუ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა განაპირობებს დამატებითი სემესტრის აუცილებლობას, მაშინ სტუდენტი თავისუფლდება სწავლის გადასახადისგან.
5. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, შეჩერების ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია სწავლა გააგრძელოს:
  - ა. გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებად პროგრამაზე (არსებობის შემთხვევაში);
  - ბ. იმ უნივერსიტეტების შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლებთანაც გთუნი-ს გაფორმებული აქვს შეთანხმება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების აღიარების თაობაზე და რომლის შესაბამისადაც განხორციელდება შესაბამის უნივერსიტეტში სტუდენტთა გადაყვანა;
  - გ. პუნქტების ა) და ბ)-ს განუხორციელებლობის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიღევად რეჟიმში სწავლებას, ყველა გაუქმებული პროგრამის ყველა სტუდენტის გადაყვანის პროცესის დასრულებამდე;
6. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, უნივერსიტეტი პროგრამის გაუქმებამდე ახდენს სტუდენტების ინფორმირებას და დეტალურად აცნობს მათ ინფორმაციას მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მობილობის პროცედურის ყველა აუცილებელი ასპექტის შესახებ.

**მუხლი 10.** ბაკალავრიატის სწავლის შედეგები:

1. ბაკალავრიატის სწავლის შედეგები მოიცავს შემდეგ 6 კომპონენტს:
  - ცოდნა და გაცნობიერება;
  - ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
  - დასკვნის უნარი;
  - კომუნიკაციის უნარი;

- სწავლის უნარი;
  - ღირებულებები
2. ბაკალავრიატში მისაღწევი ცოდნისა და უნარების დონე, აგრეთვე ღირებულებები, განისაზღვრება გთუნი-ს საგანმანათლებლო პროგრამებით და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.

**მუხლი 11.** სწავლის შედეგების შეფასება

1. შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები და მისი შესაბამისობა აკადემიური პროგრამის მიზნებთან.
2. სტუდენტის მიღწევების შეფასებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით (ბრიუსელი; 2005.14.02); „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით (2004.21.12) და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #3; 2007.05.01) განსაზღვრული შეფასების სისტემით, რომელიც გულისხმობს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ქულა	შეფასება
მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი	A - „ფრიადი“
მაქსიმალური შეფასების 81-90%	B - „ძალიან კარგი“
მაქსიმალური შეფასების 71-80%	C - „კარგი“
მაქსიმალური შეფასების 61-70%	D - „დამაკმაყოფილებელი“
მაქსიმალური შეფასების 51-60%	E - „საკმარისი“
მაქსიმალური შეფასების 41-50%	Fx - „ვერ ჩააბარა“
მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები	F - „ჩაიჭრა“

3. სტუდენტის მიერ სასწავლო კურსით გათვალისწინებული კრედიტის ათვისებას ადასტურებს სილაბუსით დაგეგმილი სამუშაოების შესრულებაში მიღებული დადებითი შედეგები.
4. უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტის შეფასების სისტემა ეფუძნება ცოდნის აკუმულირებისა და სისტემატური შეფასების პრინციპს, რომლის მიხედვითაც, დაუშვებელია შეფასება:
  - ა. მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე;
  - ბ. მხოლოდ სემესტრის განმავლობაში სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამის საფუძველზე;
5. სტუდენტის შეფასების წესი, კომპონენტები, კრიტერიუმები განსაზღვრულია გთუნი-ს „სტუდენტის მიღწევების შეფასების წესით“.

**მუხლი 12.** GPA (Grade Point Average) გამოთვლის წესი

1. უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე ძირითადად განისაზღვრება სასწავლო კურსებში მიღებული ქულებით, ამასთან, შესაძლებელია აკადემიური

მოსწრების დონის განსაზღვრა აღნიშნული ქულების 4 ბალიანი ექვივალენტით - საშუალო აკადემიური შეფასებით (GPA);

2. ნებისმიერი სასწავლო კურსის GPA გამოითვლება ფორმულით:  $GPA = \text{სასწავლო კურსში მიღებული შეფასების ქულა} \times 0,04$ . GPA – გამოითვლება მხოლოდ იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც სტუდენტს მიღებული აქვს დადებითი შეფასება (A,B,C,D,E). Fx და F შეფასება GPA – გამოთვლაში განიხილება 0-ის ტოლად.
3. შემაჯამებელი საშუალო აკადემიური შეფასება გამოითვლება ფორმულით:  $GPA(\text{შემაჯამებელი}) = \text{თითოეული სასწავლო კურსის GPA} \times \text{შესაბამის კრედიტზე და გაყოფილი: ყველა სასწავლო კურსის კრედიტების ჯამზე}$ .
4. GPA –ს საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს სტუდენტის რეიტინგი და მას მიენიჭოს განსაკუთრებული მნიშვნელობა ადმინისტრაციის მიერ რაიმე სახის შეღავათების ან წახალისების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს.

### **მუხლი 13.** საბაკალავრო ნაშრომი

1. საბაკალავრო პროგრამა დასრულებულად ითვლება თუ სტუდენტმა მოაგროვა პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები, მათ შორის დაიცვა საბაკალავრო ნაშრომი.
2. საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს თეორიული და/ან პრაქტიკული ხასიათის სამუშაოს, რომელიც უნდა შეასრულოს სტუდენტმა საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში და დაიცვას საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის ღია სხდომაზე. საბაკალავრო ნაშრომში უნდა გამოვლინდეს სტუდენტის თეორიული ცოდნის დონის, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის უნარ-ჩვევების ხარისხის შესაბამისობა აკადემიური პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.
3. საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცედურა, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, მისაღწევი სწავლის შედეგები, ნაშრომის გაფორმების წესი რეგულირდება გთუნი-ს „საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესით“ და „წერთი ნაშრომების გაფორმების სტანდარტებით“.

### **მუხლი 14.** პროფესიული პრაქტიკა

1. პროფესიული პრაქტიკა საგანმანათლებლო პროგრამის განუყოფელი ნაწილია, განისაზღვრება და მტკიცდება მასთან ერთად.
2. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული პრაქტიკა შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, როგორც დამოუკიდებელი მოდულის/კურსის ერთეული შესაბამისი კრედიტით ან როგორც მოდულის შემადგენელი ნაწილი.
3. პრაქტიკის გავლისა და დაცვის პროცედურა, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, მისაღწევი სწავლის შედეგები, პრაქტიკის ანგარიშისა და დღიურის გაფორმების წესი რეგულირდება გთუნი-ს „პრაქტიკის დებულებით“ და პრაქტიკის სილაბუსით.

**მუხლი 15.** სრული საგანმანათლებლო პროგრამის შემაჯამებელი GPA განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულთა დიპლომის კატეგორიას, კერძოდ თუ GPA ტოლია ან მეტი 3.5-ის გაიცემა წარჩინების, სხვა შემთხვევაში ჩვეულებრივი დიპლომი.  
(რექტორის 2016 წლის 22 ივლისის ბრძ.№01-01/64)

**მუხლი 16.** ბაკალავრიატის დებულების ძალაში შესვლა. ბაკალავრიატის დებულებას აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ამტკიცებს რექტორი.

### **შეტანილი ცვლილება:**

1. რექტორის 2016 წლის 22 ივლისის ბრძანება №01-01/64– (ცვლილება მუხლი 15)
2. რექტორის 2017 წლის 27 ნოემბრის ბრძანება №01-01/84 – (უნივერსიტეტის სახელწოდების ცვლილება)